ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

20 სექტემბერი 2018 წელი

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ონის რაიონი სოფელი შარდომეთი

2018 წელი

2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბლაუნშტაინ საქართველო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 237978364) რეგისტრირებულია 2007 წლის 17 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის დამფუძნებლები ირაკლი კერვალიშვილი (პ/ნ01008002113)-35%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინთერნემნალ ეთიკ ფარმ ქონსეფტ ინკ." პანამა (ს/კ1714730)-50% და ნორბერტ მაქს ბლაუნშტაინი, საქართველო, შვეიცარია (პ/ნ01801132941)-15%.

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს 2017 წლის მმართველობითი ანგარიშის (საქმიანობის მიმოხილვის) წარდგენის ვალდებულება გაუჩნდა პირველად, 2016 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს. პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში. საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს დირექტორს. საზოგადოების დირექტორია თათია არაბიძე (პ/ნ18001013008), დაბადების წელი 1983, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებაში წილს არ ფლობს.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

კომპანიის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს: ხორც-პროდუქტების წარმოების სრული ჯაჭვი. ცოცხალი პირუტყვის გამოზრდა რაჭაში სოფელ შარდომეთში კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფერმებში. დაკვლა, პირველადი გადამუშავება, დავარგებული ხორცის წარმოება ონის რაიონი სოფელ სორში არსებული ხორცის პირველად საწარმოში. ხორც-პროდუქტების წარმოება თბილისში არსებული საწარმოში და რეალიზაცია კომპანიის საფირმო მაღაზიაში.

2017 წლის საანგარიშო პერიოდის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 357 433 ლარი. 2017 წლის საწარმოო ხარჯვითმა ნაწილმა მარაგების ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 3 124 428 ლარი. აქედან გამომდინარე კომპანიას 2017 წელს მოგება არ მიუღია. კომპანიაში 2017 წელს განხორციელებულმა ინვესტიციამ შეადგინა 3 735 333 ლარი. შესაბამისად 2017 წელს პარტნიორზე დივიდენდების განაწილება არ განხორციელებულა.

საზოგადოებას გააჩნია შემდგომი განვითარების პერსპექტივა და შესაბამისი რესურსები. კერძოდ: შესაძლებელია საზოგადოების შემოსავლების ზრდა ფერმების და პირუტყვის რაოდენობის გაზრდით, მნიშვნელოვნად დაგროვებული ცოცხალი აქტივის წარმოებაში ჩაშვებით როგორც არსებულ ასევე დაგეგმილ ახალ საფირმო მაღაზიაში. 2017 წლის ანალიზი გვაძლევს იმის საფუძველს რომ, მომავალში კომპანია შესძლებს გააუმჯობესოს საანგარიშო წლის მაჩვენებლები, დანერგოს ახალი ტექნოლოგიების, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადოს მართვის სისტემა, გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და მიღწეული იქნას 2017 წელთან შედარებით მაღალი ფინანსური მაჩვენებლები.

კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. სამსახურში თანამშრომლის მიღება ხდება საგამოცდო ვადით, რომელიც პირველ რიგში ეცნობა საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. თანამშრომლების მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს ანაზღაურების შემდეგი სისტემები: საათობრივი, დღიური, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. თანამშრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვა. მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიაში დასაქმებულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია.

კომპანიის პოლიტიკაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედება გარემოზე.

ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს კომპანიასი რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება. უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად გაზრდილია მატერიალური პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასწარმოქმნის მთავარი ფაქტორია პროდუქციის თვითღირებულება და ასევე ბაზარზე არსებული ფასები.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 10 სექტემბერს.

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს

დირექტორი


თათია არაბიძე

		31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მიწა		386 730	386 730
ძირითადი საშუალებები	5	9 515 560	8 216 511
ბიოლოგიური აქტივი	6	1 013 978	776 300
არამატერიალური აქტივი	7	677 715	685 297
გრძელვადიანი მოთხოვნები	8	26 067	37 803
სულ გრძელვადიანი აქტივები		11 620 050	10 102 640
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9 10	394 393	302 532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	173169.55	129 002
საგადასახადო მოთხოვნები	12	1 420 251	1315394
ფულადი სახსრები და	13		
ექვივალენტები		1 675 472	1 467 104
სულ მიმდინარე აქტივები		3 663 285	3 214 032
სულ აქტივები:		15 283 335	13 316 672
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		15 588 066	15 588 065
საემისიო კაპიტალი		9 279 877	5 544 544
გაუნაწილებელი		(9 651 750)	(7 884 755)
მოგება-ზარალი			
სულ საკუთარი კაპიტალი		15 216 192	13 247 854
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა	14	67 142	68 818
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		67 142	68 818
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15 283 334	13 316 672

დირექტორი

თათია არაბიძე

მთ. ბუღალტერი



ელზა ბერიშვილი

		31.12.2017	31.12.2016
ამონაგები		1 357 433	1 056 317
სხვა შემოსავალი	15	536 107	387 484
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		89 167	51 887
მარაგის შეძენა		(1 379 153)	(1 305 354)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(744 917)	(795 173)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(364 442)	(346 884)
შეძენილი მომსახურების ხარჯები		(632 344)	(609 490)
საკუროსო სხვაობის ხარჯები		(181 704)	(142 037)
საგადასახადო ხარჯი		(91 213)	(85 608)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(355 928)	(144 072)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(1 766 995)	(1 932 930)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(1 766 995)	(1 932 930)
მოგების გადასახადი			(116 215)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(1 766 995)	(2 049 145)

დირექტორი


თ. ბუღალტერი

თათია არაბიძე

მთ. ბუღალტერი

მ. ბუღალტერი

ელზა ბერიშვილი



	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	1410195	1062096
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 495 735)	(2 212 457)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(618 162)	(628 833)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	(1 703 703)	(1 779 195)
გადახდილი გადასახადები	(4 614)	(100 302)
ფულადი სახსრების ნაკადები		
განსაკუთრებულ მუხლებამდე	(1 708 317)	(1 879 497)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 708 317)	(1 879 497)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 671 842)	(932 854)
ბიოლოგიური აქტივის შეძენა	(194 234)	(3 350)
მიღებული პროცენტები	38 613	8 867
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 827 463)	(927 337)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორების შენატანი	3735333	3 050 481
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	156 845	105 075
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(148 030)	(117 833)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	3 744 148	3 037 723
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	208 368	230 889
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1 467 104	1 236 216
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1 675 472	1 467 104

დირექტორი



თათია არაბიძე

მთ. ბუღალტერი



ელზა ბერიშვილი



	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი	15 588 066	3 354 712	(5 835 611)	13 107 167
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
საემისიო კაპიტალის ცვლილება	-	2 189 832	-	2 189 832
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(1 996 609)	(1 996 609)
31.12.2016 წაშთი	15 588 066	5 544 544	(7 832 220)	13 300 389
გასული პერიოდის შეცდომის გასწორება	-	-	(52 535)	(52 535)
31.12.2016 წაშთი	15 588 066	5 544 544	(7 884 755)	13 247 854
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
საემისიო კაპიტალის ცვლილება	-	3 735 333	-	3 735 333
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(1 766 995)	(1 766 995)
31.12.2017 წაშთი	15 588 066	9 279 877	(9 651 750)	15 216 192

დირექტორი

თ. არაბიძე

თათია არაბიძე

მთ. ბუღალტერი

ე. ბერიშვილი

ელზა ბერიშვილი



23.2 მოგებისა და ზარალის შეჯერება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები	ფასს	შეცდომი ს კორ-ბა	გადასვლის გავლენა	მსს ფასს
ამონაგები	1056317			1056317
სხვა შემოსავალი	387484			387484
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	61632	(9746)		51887
მარაგის შეძენა	(1305354)			(1305354)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	(795173)			(795173)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(339551)	(7333)		(346884)
შემენილი მომსახურების ხარჯები	(574033)	(35457)		(609490)
საკუთრო სხვაობის ხარჯები	(142037)			(142037)
საგადასახადო ხარჯი	(85608)			(85608)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(144072)			(144072)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	<u>(1880394)</u>			<u>(19329230)</u>
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	<u>(1880394)</u>			<u>(19329230)</u>
მოგების გადასახადი	<u>(116215)</u>			<u>(116215)</u>
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	<u>(1996609)</u>	(52536)		<u>(2049146)</u>

24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ დანებადართულია გამოსაშვებად 2018 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი


a. AM

თათია არაბიძე

მთ. ბუღალტერი

ე. ჭიჭიჭიძე

ელზა ბერიშვილი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჩვენ არ ვიყავით დანიშნული შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

20 სექტემბერი 2018 წელი



კომპანიის პოლიტიკაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედება გარემოზე.

ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს კომპანიასი რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება. უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად გაზრდილია მატერიალური პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასწარმოქმნის მთავარი ფაქტორია პროდუქციის თვითღირებულება და ასევე ბაზარზე არსებული ფასები.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 10 სექტემბერს.

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს

დირექტორი

თათია არაბიძე

